სსიპ ქალაქ ბათუმის N2-საჯარო სკოლის

სასკოლო სასპორტო კლუბი ,,ხარიტონი"-ს

წესდება

1.ზოგადი დებულებები:

1.1. წინამდებარეწესდება (შემდგომში წესდება) განსაზღვრავს სასკოლო სპორტული კლუბის მუშაობის ძირითად პრინციპებს,საქმიანობის მიმართულებებს, კლუბის ხელმძღანელის, წევრების, უფლება-მოვალეობებს, ასევე კლუბის საქმიანობის სფეროსა და შედეგებს.

1.2. სასკოლო სასპორტო კლუბი „ხარიტონი" არის სსიპ ბათუმის N-2 საჯარო სკოლის , სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული, პედაგოგიური საბჭოზე დამტკიცებული. რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მასობრივ ჩართულობას სპორტულ-გამაჯანსაღებელ-საგანმანათლებლო აქტივობებში და ხელს უწყობს ფორმალური და არა ფორმალურ განათლების განმტკიცებას.

1.3. კლუბი უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა, რომელიც ემსახურება კლუბის მიზნებს, ინტერესებს, შედეგზე და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

1.4. სსიპ ბატუმის N2- საჯარო სკოლის სასკოლო სპორტული კლუბი„ხარიტონი" ემსახურება მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულიზაციას.

1.5. კლუბი ჩამოყალიბებულია განუსაზღვრელი ვადით და თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

1.6. კლუბს აქვს სახელწოდება, ლოგო, ჰიმნი, დევიზი.

1.7. კლუბის მისამართი საქართველო, ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქ.N 19 სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ბათუმის N 2 საჯარო სკოლა. ელექტრონული ფოსტა

2. კლუბის მიზნები და ამოცანები:

2.1 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პოპულიზაცია მოსწავლე-ახლგზრდებს შორის;

2.2 ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;.

2.3. აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებით უნარების განვითარება და ხელშეწყობა;

2.4.მოსწავლეთა თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;

2.5.მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ამაღლება და ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება;

2.6. მოსწავლეების აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიური განვითარების ხელშეწყობა;

2.7 დაგეგმისა და მართვის უნარების განვითარება;

2.8. კომუნიკაციის უნარის განვითარება;

2.9. მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება;

2.10. ინტელექტუალური, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;

2.11. კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების კონკურსების ორგანიზება;

2.12. მუშაობის წარმართვა თავისუფალი გაკვეთილების ფარგლებში;

2.13. სპორტული წრეების/სექსიების ხელშეწყობა;

2.14. სპორტულ ფედერაციებთან, ასოციაციებთან, კავშირებთან ურთიერთობა;

2.15. საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან ურთიერთობა;

2.16. ოლიმპიურ კლუბთან ურთიერთობა;

2.17. ოლიმპიზმის პოპულარიზაცია;

2.18. საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება.

2.19. თემის ჩართულობა კლუბის მუშაობაში;

2.20. საზოგადოების ჩართულობა კლუბის მუშაობაში;

3. კლუბში გაწევრიანება :

3.1 კლუბში წევრობა ნებაყოფლობითია;
3.2 კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლის მოსწავლე,მასწავლებელი, მშობელი, დირექციის წევრი, სკოლაში მოქმედი კლუბები, თემის წარმომადგენელი და სხვა, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს;
3.3 კლუბის წევრობის მსურველმა უნდა მიმართოს კლუბს წერილობითი ფორმით (განცხადებით და წევრობისმსურველის ანკეტის შევსებით);
3.4 კლუბში გაწევრიანებაზე გადაწყეტილება მიიღება კლუბის ხელმძღვანელის მიერ, სკოლასთან შეთანხმებით;
3.5 კლუბის წევრს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია კლუბისა და მისი საქმიანობის თაობაზე.
3.6 კლუბის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კლუბის საქმიანობაში, დაიცვას წესდების მოთხოვნები,შეასრულოს დავალებები და კლუბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
3.7 კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადების საფუძველზე, ასევე კლუბის საერთო კრების გადაწყვეტილებით როდესაც მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს და უხეშად არღვევს აღნიშნული წესდების დებულებებს.
3.8. მოსწავლეს, სკოლის დამთავრების შემდეგ.

4.კლუბის სტრუქტურა, მართვა და გადაწყვეტილებების მიღება:

4.1კლუბი შედგება კლუბის წევრებისგან;
4.2კლუბს ჰყას ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებაა უხელმძღვანელოს კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად წარმოადგინოს კლუბი მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობისას, უხელმძღვანელო ს კლუბის მიერგანსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას, და ნიშნოს კლუბის წევრებისაგან ერთერთი მოადგილედ, გაანაწილოს ფუნქიები.
4.3 კლუბის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს კლუბის საქმიანობას, ერთპიროვნულად.
4.4 კლუბის საერთო კრება უფლებამოსილია ხმათა უმრავლესობით დამტკიცოს სამოქმედო გეგმა, დაამტკიცოს კლუბისწესდება, აირჩიოს ან ვადაზე ადრე გადააყენოს კლუბის ხელმძღვანელი.
4.5 კლუბის ხელმძღვანელი ირჩევა1 სასწავლო წლის ვადით.
4.6 კლუბის ხელმძღვანელად არჩევა შესაძლებელია მრავალჯერ.
4.7 კლუბის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველი წლიურად ანგარიში ჩააბაროს კლუბის საერთო კრებას.

5. კლუბის მუშაობა

5.1 კლუბი იკრიბება არანაკლებ თვეში ერთჯერ, გარდა არდადეგების პერიოდისა;
5.2 კლუბის საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 3/4 ;
5.3 კლუბის შეკრებები ფორმდება ოქმით.

6. კლუბის ქონება:

კლუბის ქონება და სახსრები იქმნება:
6.1. შემოწირულობებით.
6.2. გრანტებით.
6.3. პროექტებით.
6.4. სხვა კანონიერი საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

6.5. კლუბის ქონების გამოყენება დაიშვება საწესდებო მიზნების,სასკოლო და საქველმოქმედო საქმიანობის შესასრულებლად.

7. კლუბის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა:

7.1 კლუბის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გამოყოფა გარდაქმნა) ხორციელდება ამ დებულებით .

7.2 კლუბის ლიკვიდაცია ხდებასაერთო კრების გადაწყვეტილებით..

8. დასკვნითი დებულება:

8.1 წესდება ძალაში შედის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების, პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

8.2 წესდებაში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს კლუბის საერთო კრების გადაწყვეტილებით.